ანტიკორუფციული კანონმდებლობის ევოლუცია საქართველოში- მიღწევები და გამოწვევები

მარიამ ქაქუთია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ხელმძღვანელი : თამარ კორძაია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ქაქუთია

22.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიეძღვნა საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის ევოლუციის შეფასებას, კერძოდ, სამართლებრივი რეგულაციების განვითარების ეტაპების, მათი პრაქტიკული აღსრულების მექანიზმების და მოქმედი ინსტიტუციური სისტემის ანალიზს. კვლევის მიზანი იყო ანტიკორუფციული ჩარჩოს ძირითადი ნაკლოვანებების, სისტემური ხარვეზების და სამართლებრივი გამოწვევების იდენტიფიცირება, რაც მიღწეულ იქნა ნორმატიული ბაზის და მისი გამოყენების პრაქტიკის კომპლექსური შესწავლის გზით.

კვლევის ფარგლებში დადგინდა რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი სამართლებრივი პროგრესისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებზე დაფუძნებული რეფორმების გატარებისა, არსებული ანტიკორუფციული სისტემა საქართველოში რჩებოდა ფრაგმენტულად განვითარებული, კოორდინაციისა და ზედამხედველობის თვალსაზრისით დაუბალანსებელი. სამართლებრივი ნორმები ხშირად იყო კონფლიქტური ან დუბლირებული, ხოლო აღსრულების მექანიზმები – არასისტემური და პოლიტიზებული. ასევე გამოვლინდა ინსტიტუციური კომპეტენციების გადაკვეთა, მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი ხარისხი და ანგარიშვალდებულების სუსტი მექანიზმები.

დასკვნის ნაწილში შემუშავებული იქნა კონკრეტული, სამართლებრივად და ადმინისტრაციულად რეალისტური რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურებოდა იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრას. კერძოდ, რეკომენდაციები შეეხებოდა ნორმატიული ჩარჩოს ჰარმონიზაციას, ზედამხედველობის დამოუკიდებლობის გაძლიერებას, დეკლარირების სისტემის გაუმჯობესებას, ინსტიტუციურ კოორდინაციასა და მოქალაქეთა ჩართულობის სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები : ანტიკორუფციული კანონმდებლობა, განვითარების ეტაპები, საქართველოს ანტიკორუფციული კანონი, კორუფცია საქართველოში.

Abstract

This thesis was dedicated to the assessment of the evolution of Georgia's anti-corruption legislation, with a particular focus on the stages of development of legal regulations, their practical enforcement mechanisms, and the analysis of the current institutional framework. The objective of the research was to identify the main shortcomings of the anti-corruption framework, including systemic flaws and legal challenges, which was achieved through a comprehensive examination of the normative base and its practical application.

The research established that, despite considerable legal progress and the implementation of reforms based on recommendations from international organizations, the existing anti-corruption system in Georgia remained fragmented and unbalanced in terms of coordination and oversight. Legal norms were often conflicting or duplicative, while enforcement mechanisms proved to be unsystematic and politicized. Furthermore, the study revealed overlapping institutional competences, low levels of civic engagement, and weak mechanisms of public accountability.

In the concluding section, the study proposed specific, legally and administratively realistic recommendations aimed at addressing the identified deficiencies. In particular, the recommendations focused on harmonizing the normative framework, strengthening the independence of oversight institutions, improving the asset declaration system, enhancing institutional coordination, and reinforcing legal mechanisms for citizen participation.

Keywords: Anti-corruption legislation, Stages of development, Georgia's Anti-Corruption Law, Corruption in Georgia.